

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5  
2023 წლის 18 იანვარი

## ქ. ლაგოდეხი

**„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### **მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 18/01/2018, 010250050.35.167.01636).

### **მუხლი 2**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული დანართი „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

### **მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

